

შუახვევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №12
2022 წლის 29 აპრილი

დაბა შუახვევი

შუახვევის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის „ბ.თ“ ქვეპუნქტის, 85-ე მუხლისა და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის შესაბამისად, შუახვევის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს შუახვევის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესი, თანდართული დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილებით დამტკიცებული წესის მოქმედება გამონაკლისის სახით გავრცელდეს შუახვევის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის მომზადებისა და ფორმირების პროცესზე.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

შუახვევის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

როსტომ ლორთქიფანიძე

დანართი

შუახვევის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესი

მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამა (შემდგომში პროგრამა), როგორც თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის დამატებითი მექანიზმი „მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს“ მიზანია შუახვევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებისას ჩართულ იქნეს სამოქალაქო ინიციატივები, მომავალი გეგმების განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნეს საზოგადოებრივი ინტერესები, მიეცეს შუახვევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეებს, საინიციატივო ჯგუფებსა და იურიდიულ პირებს შესაძლებლობა, თვითონ შეიმუშაონ და განსაზღვრონ კონკრეტულ დასახლებაში, უბანში არსებული პრიორიტეტული პროექტები.

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წესი შექმნილია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად და განსაზღვრავს შუახვევის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს – „მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს“ (შემდგომში – „საბჭო“) კომპეტენციას, მისი შექმნისა და საქმიანობის წესს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საქმიანობის გამჭვირვალობის და თვითმმართველობის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების მიზნით.

2. საბჭოს შემადგენლობაში გენდერული ბალანსის დაცვით შედიან შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელე/ები, შუახვევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენელი/ები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელი/ები, ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი/ები, მოწყვლადი ჯგუფების და სპეციალური საჭიროებების მქონე პირები.

3. საბჭო შედგება არაუმეტეს 15 წევრისაგან.

4. საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება შუახვევის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.

მუხლი 2. ძირითადი პრინციპები

საბჭოს საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:



ა) კანონიერება;

ბ) საჯაროობა;

გ) კოლეგიურობა;

დ) მოქალაქეთა დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის გაზრდა თვითმმართველობის განხორციელების პროცესში;

ე) საბიუჯეტო სახსრების სამართლიანი განაწილება.

მუხლი 3. საბჭოს უფლებამოსილება

1. საბჭო უფლებამოსილია, „მონაწილეობითი ბიუჯეტის“ მომზადების ეტაპზე, განიხილოს შუახევის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული საპროექტო განცხადებები (შემდგომში – „პროექტი“), შეამოწმოს განცხადებების სისწორე შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: სამართლებრივი ასპექტები (არის თუ არა მუნიციპალიტეტი უფლებამოსილი განხორციელოს წარმოდგენილი პროექტი), ტექნიკური ასპექტები (რამდენად შესაძლებელია პროექტის განხორციელება), ფინანსური ასპექტები (წარმოდგენილი პროექტის სავარაუდო ღირებულების შეფასება), პროექტის განხორციელების ვადები, ემსახურება თუ არა პროექტის განხორციელება საზოგადოებრივ ინტერესს; საჭიროების შემთხვევაში პროექტის განხილვისას მოიწვიოს პროექტის ავტორი.

2. საბჭო უფლებამოსილია პროექტის მიმდინარეობისას შეამოწმოს მოქალაქეთა მიერ წარმოდგენილი ინიციატივები კონკრეტულ დასახლებაში წარმოდგენილი პროექტის განხორციელების თაობაზე, ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით.

3. „მონაწილეობითი ბიუჯეტის“ პროექტის განხორციელებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტში გასათვალისწინებელი თანხის მოცულობას განსაზღვრავს შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულო, რომლის გადანაწილებაც განხორციელდება ტერიტორიული (პროგრამისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები ნაწილდება საკრებულოს მიერ შესაბამისი წლისათვის განსაზღვრული ზონების მიხედვით), თემატური (პროგრამისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები ნაწილდება საკრებულოს მიერ შესაბამისი წლისათვის განსაზღვრული პრიორიტეტული სფეროების მიხედვით) ან შერეული (პროგრამისთვის გამოყოფილი სახსრების განაწილება მოიცავს როგორც ტერიტორიულ, ისე თემატურ ნიშანს) სახით.

4. მუნიციპალიტეტის მიერ პროგრამისთვის დადგენილი პრიორიტეტები უნდა შეესაბამებოდეს მუნიციპალიტეტის საკუთარ ან/და ნებაყოფლობით უფლებამოსილებებს.

5. მონაწილეობითი ბიუჯეტის განხორციელება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) საინფორმაციო კამპანია;

ბ) პროექტების შემუშავება და წარდგენა;

გ) პროექტების ვერიფიკაცია;

დ) მონაწილეობითი ბიუჯეტის საპროექტო ინიციატივებზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით ფარული კენჭისყრის პროცედურა;

ე) ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვა;

ვ) პროექტის განხორციელება, შეფასება და მონიტორინგი.

6. საპროექტო წინადადებების წარდგენა შესაძლებელია საბიუჯეტო წლის პირველი აგვისტოდან პირველ სექტემბრამდე.

7. საბჭო უფლებამოსილია გამოავლინოს ვერიფიცირებული პროექტი საბიუჯეტო წლის პირველი სექტემბრიდან პირველ ოქტომბრამდე.



8. მოქალაქეთა ინიციატივები განხილვისათვის წარედგინება საბჭოს. საბჭო შეისწავლის და განიხილავს საპროექტო განაცხადებს, აგრეთვე, საბჭო გენდერულ ჭრილში ახდენს წარდგენილი იდეებისა და საბოლოოდ დამდგარი შედეგების შეფასებას, ღებულობს დასკვნასა და რეკომენდაციას, რომელიც ეგზავნება შუახვევის მუნიციპალიტეტის მერს ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინების მიზნით.

9. საბჭო უზრუნველყოფს გამარჯვებული იდეის ავტორის ჩართულობას შესყიდვებისა და მონიტორინგის განხორციელების პროცესში

მუხლი 4. საბჭოს სტრუქტურა და საქმიანობის წესი

1. საბჭოს შემადგენლობაში შედიან საბჭოს წევრები, საბჭოს თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი.

2. საბჭოს თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს საბჭოს მუშაობას, იწვევს და უძღვება საბჭოს სხდომებს;

ბ) კოორდინაციას უწევს საბჭოს საქმიანობას;

გ) საჭიროებისამებრ, იწვევს საბჭოს სხდომას და სხდომის გამართვამდე არანაკლებ 2 დღით ადრე აღნიშნულის შესახებ აცნობებს საბჭოს წევრებს და დაინტერესებულ პირებს;

დ) საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს განსახილველ საკითხთა ნუსხას და დღის წესრიგს, აკონტროლებს სამუშაო გეგმისა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას;

ე) ასრულებს საბჭოს წარმომადგენლობით ფუნქციას;

ვ) ხელს აწერს საბჭოს სხდომის ოქმებს.

3. საბჭო:

ა) შეიმუშავებს და ამტკიცებს წლიურ სამოქმედო გეგმას;

ბ) საქმიანობის უკეთ განხორციელების მიზნით უფლებამოსილია შეიმუშავოს და დაამტკიცოს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წლიური სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;

გ) შეიმუშავებს და ამტკიცებს საკონკურსო პროექტების განაცხადის ფორმას;

დ) არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა, მერს წარუდგენს გადაწყვეტილებას მომავალი წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინების მიზნით, მოქალაქეების მიერ შერჩეული საპროექტო წინადადებების ნუსხის შესახებ;

ე) იღებს გადაწყვეტილებას დასკვნის ან/და რეკომენდაციის სახით;

ვ) უფლებამოსილია განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებები.

4. საბჭო უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ხოლო გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის 1/3-ისა.

5. იდეების წარდგენის ეტაპიდან დაცული იქნას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

მუხლი 5. ანგარიშვალდებულება

საბჭო ანგარიშვალდებულია შუახვევის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე.

